საქმე დს-შ/7-16 **24 ივნისი, 2016 წელი**

ქ. თბილისი

მიღების ადგილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

მაია ვაჩაძე **(თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
მოსამართლეები: ნუგზარ სხირტლაძე,
ვასილ როინიშვილი

სხდომის მდივანი - მ. გ.

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ხ. თ-ი

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენელი - თ. ხ-ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 14 მაისის №126/13 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მოქალაქე ც. ხ-ს განცხადების საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, ადვოკატ ხ. თ-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის ივნისში მან თავისი შვილის - რ. ხ-ს ინტერესების დასაცავად საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულება გააფორმა ადვოკატ ხ. თ-თან, რომელმაც ც. ხ-ს ამ ხელშეკრულების ასლი არ გადასცა. ადვოკატმა ც. ხ-ს გარანტია მისცა რ. ხ-ს გათავისუფლების შესახებ და მომსახურების სანაცვლოდ 2000 (ორი ათასი) ლარის გადახდა მოითხოვა. ადვოკატმა ასევე მოითხოვა საქმის მასალების ასლების გადაღება 3 ეგზემპლარად და მასალების დანომრვა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი სათანადოდ არ

გაეცნო საქმის მასალებს, არ ჰქონდა ინფორმაცია საქმის მოცულობის შესახებ და არ გამოითხოვა სასამართლოდან საქმის მასალები.

საჩივრის ავტორის მითითებით, რ. ხ-ს ოჯახის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები ადვოკატს გადაეცა წინასასამართლო სხდომამდე 3 კვირით ადრე. ხ. თ-მა დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა და აღნიშნული მტკიცებულებები - რ. ხ-ს ჯანმრთელობის ცნობები, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან დაკავშირებული წერილობითი დოკუმენტები არ წარადგინა სასამართლოში კანონით გათვალისწინებულ ვადაში, რის გამოც მოსამართლისაგან საყვედური მიიღო და სხდომა გადაიდო. ადვოკატ ხ. თ-ს მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად საქმის განხილვა გაჭიანურდა და აღნიშნული მიზეზით რ. ხ-ს დაემართა ნერვული აშლილობა, სხეულზე მიიყენა დაზიანებები და სცადა თვითმკვლელობა.

ც. ხ-ი ასევე აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ხელზე დამატებით აიღო 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით თანხა და 1000 (ათასი) ლარის ანგარიშზე ჩარიცხვა მოითხოვა. ადვოკატი აცხადებდა, რომ თანხის მიუღებლობის შემთხვევაში არ გამოცხადდებოდა სასამართლო პროცესზე. მან ისარგებლა რ. ხ-ს მეუღლესთან ნათესაური კავშირით და შანტაჟის მეშვეობით გამოსძალა აღნიშნული თანხა. ადვოკატმა რ. ხ-ს მეუღლე მოატყუა და განუცხადა, რომ მას რ. ხ-მა აჩუქა 1500 (ათას ხუთასი) ლარი. თანხის დაბრუნების შესახებ რ. ხ-ს მოთხოვნას ადვოკატმა პოლიციისათვის მიმართვის მუქარით უპასუხა.

ადვოკატმა, ხ. თ-მა 2013 წლის 18 ოქტომბერს ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარადგინა და განაცხადა, რომ ც. ხ-ს საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ ასახავდა რეალობას. კერძოდ, რ. ხ-სა და მისი ოჯახის თანხმობის შედეგად ადვოკატსა და ც. ხ-ს შორის რ. ხ-ს ინტერესების დასაცავად გაფორმდა საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულება. ც. ხ.მა მას შეხვედრისას გადასცა საქმის მასალები, შესაბამისად, საქმის მასალების გადაღების შესახებ მოთხოვნა არასწორია. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საჩივრის ავტორმა ადვოკატის ანგარიშზე ჩარიცხა შეთანხმებული თანხა 2000 (ორი ათასი) ლარი. ამდენად, ც. ხ-ს განცხადება შანტაჟის მოწყობასთან და ფულადი თანხის გამოძალვასთან დაკავშირებით ასევე არასწორია.

ადვოკატის მითითებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ, ავადმყოფობის ისტორია და რ. ხ-ს დადებითი დახასიათებები მან მოიპოვა, რაც საპროცესო ვადის დაცვით გადასცა ბრალდების მხარეს და სასამართლოს კანცელარიას. სასამართლო პროცესზე საქმის გადადების მიზეზი იყო საქმეში არა ერთი ბრალდებულის არსებობა. ადვოკატს არ მიუცია გარანტია საჩივრის ავტორისათვის, რომ გაათავისუფლებდა რ. ხ-ს. დაზიანებები კი ბრალდებულმა იმისთვის მიიყენა, რომ გადაეყვანათ №18 დაწესებულებაში, სადაც მისი მეუღლე მუშაობდა.

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ხ. თ-ს მიერ თავის ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორის მიმართ გამოთქმული ფრაზები შეურაცხმყოფელია. აღნიშნული ფრაზებია: „ისეთ პიროვნებას და ქურდული ტრადიციების მიმდევარს, როგორიც ხ-ა არავინ გაამართლებს; ბოროტი ქალი ც. ხ-ი; მართლა უმეცარი და გაუნათლებელი ქალია ც. ხ-ი და ამას ჩემთან ამბობდა მისი შვილი რ-ც კი, რომელიც მთხოვდა, რომ მხოლოდ მასთან მელაპარაკა საქმეზე, დედამისს არ ენდობოდა არაფერში, რაც მე ძალიან მიკვირდა, ახლა აღარ მიკვირს; ესე გადამიხადა სიკეთე ამ

ნაძირალა, ფულზე დახარბებულმა კრიმინალმა; რ. ხ-ს პირველი ცოლ-შვილი მიტოვებული ჰყავს; ეს არის შანტაჟი და ჩემზე ფულის გამოძალვა“.

აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიის დასკვნით, ეთიკის კომისიის მიერ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილები.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით ადვოკატი ხ. თ-ი ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა შესახებ“ კანონისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევაში, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - გაფრთხილება.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატსა და კლიენტს შორის 2013 წლის 12 ივნისს გაფორმდა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ადვოკატი იცავდა რ. ხ-ს ინტერესებს წინასწარ გამოძიებაში (დანაშაული გათვალისწინებული სსსკ-ის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით). ადვოკატმა ხ. თ-მა სასამართლოში არ წარადგინა მტკიცებულებები კანონით გათვალისწინებულ ვადაში იმ მიზეზით, რომ მას იმედი ჰქონდა მის ნაცვლად დაცვის მხარის მტკიცებულებებს წარადგენდა ბრალდების მხარე. ადვოკატ ხ. თ-ს მიერ საჩივრის ავტორის მიმართ გამოყენებულია შემდეგი ფრაზები: „ისეთ პიროვნებას და ქურდული ტრადიციების მიმდევარს, როგორიც ხ-ა არავინ გაამართლებს; ბოროტი ქალი ც. ხ-ი; მართლა უმეცარი და გაუნათლებელი ქალია ც. ხ-ი და ამას ჩემთან ამბობდა მისი შვილი რ-ც კი, რომელიც მთხოვდა, რომ მხოლოდ მასთან მელაპარაკა საქმეზე, დედამისს არ ენდობოდა არაფერში, რაც მე ძალიან მიკვირდა, ახლა აღარ მიკვირს; ესე გადამიხადა სიკეთე ამ ნაძირალა, ფულზე დახარბებულმა კრიმინალმა; რ. ხ-ს პირველი ცოლ-შვილი მიტოვებული ჰყავს; ეს არის შანტაჟი და ჩემზე ფულის გამოძალვა“.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ხ. თ-ს მიერ დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-9 მუხლის 1-ლი და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილები.

ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა საქმის მინდინარეობისას უნდა უზრუნველყოს მისი კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. მოცემულ შემთხვევაში განხილვის კოლეგიამ გაიზიარა საპროცესო კოლეგიის მოსაზრება ადვოკატის მიერ კვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულების დარღვევის შესახებ. კერძოდ, 3013 წლის 5 სექტემბერს გამართულ წინასასამართლო სხდომაზე ადვოკატმა ხ. თ-ა განაცხადა, რომ მან სასამართლოში არ წარადგინა მტკიცებულებები კანონით გათვალისწინებულ ვადაში, ვინაიდან მას ეგონა, რომ ბრალდების მხარისათვის გადაცემულ დაცვის მხარის მტკიცებულებებს სასამართლოში წარადგენდა თავად

ბრალდების მხარე. ამდენად, განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა არაკვალიფიციურად იმოქმედა მტკიცებულებათა წარდგენის მოვალეობის შესრულებისას.

განხილვის კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატი, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით სარგებლობისას ვალდებულია დაიცვას ბალანსი საკუთარ უფლებას - დაუბრკოლებლად გამოხატოს აზრი და სხვის უფლებებსა და ღირსებების დაცვას შორის. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისთვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან.

განხილვის კოლეგიამ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესების ხელყოფა. კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ გამოთქმული ფრაზები, როგორც მისი კლიენტის, ისე საჩივრის ავტორის მიმართ, შეურაცხმყოფელია და ლახავს პირის ღირსებას, რის გამოც ზემოაღნიშნული გამონათქვამები უნდა შეფასდეს, როგორც ადვოკატის მხრიდან პირის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის ფორმად და ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებების შელახვად. ადვოკატი ვალდებულია შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს არაეთიკური გამონათქვამების გარეშე. ამდენად, ადვოკატის მიერ კლიენტისა და საჩივრის ავტორისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებამ და სასამართლოში მტკიცებულებების წარუდგენლობამ დაარღვია პროცესის მონაწილის პატივისცემისა და კვალიფიციური წარმომადგენლობის გაწევის ვალდებულება, რის გამოც ადვოკატ ხ. თ-ს მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური სახდელის ფორმა - გაფრთხილება.

ადვოკატ ხ. თ-ს 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა 2016 წლის 16 აპრილს, რაც კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში.

ადვოკატმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რომელიც მას მხოლოდ 2 წლის შემდეგ ჩაჰბარდა. ხ. თ-ს ადვოკატისათვის შეუფერებელი საქციელი არასოდეს ჩაუდენია, არ შეულახავს საჩივრის ავტორისა და მისი შვილის უფლებები და მიზნად არ დაუსახავს დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილე პირის დაკნინება. ადვოკატმა ასევე მიუთითა, რომ მას ფორმალური წარმომადგენლობა სასამართლოში არასოდეს განუხორციელებია. ის კლიენტს მაღალი პროფესიონალიზმით იცავდა გამოძიების ორგანოებში და სასამართლოში.

საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სასამართლოში წარადგინა მტკიცებულებები კანონით დადგენილ ვადაში და მის მიერ მოპოვებული და წარდგენილი მტკიცებულებები უკლებლივ დასაშვებად ცნო მოსამართლემ. ხ. თ-ი ყოველთვის მოქმედებდა კანონით, პროფესიული ეთიკის ნორმებითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით. აბსურდულია ბრალდება, თითქოს მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ქალბატონ ც. ხ-ს, ვინაიდან, პირიქით, ამ უკანასკნელმა უწოდა

ადვოკატს „აღვირახსნილი“, „უმეცარი“ და „უსუსური“. აღნიშნული ბრალდებები არასწორია, რითაც ეთიკის კომისიის მიერ დაირღვა გაეროს სტანდარტები ადვოკატის როლის შესახებ.

საჩივრის ავტორმა მიუთითა გაეროს ძირითად პრინციპებზე ადვოკატის როლის შესახებ, რომლითაც განმტკიცებულია ადვოკატის საქმიანობის გარანტიები. ასევე აღნიშნა, რომ ეთიკის კომისიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას უგულებელყო საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომლის მე-3 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობას; ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას.

ადვოკატმა ასევე აღნიშნა, რომ რ. ხ-მა იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ორი ადვოკატი გამოიცვალა, მაგრამ იგი გასამართლდა სსსკ-ის 223[1]-ე მუხლით და ამავე მუხლით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი მიიღო, რის გამოც იგი დღესაც პატიმრობაში იმყოფება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა ხ. თ-მა მიიჩნია, რომ ეთიკის კომისიის მიერ მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უსამართლოა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, ეთიკის კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 14 მაისის №126/13 გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ეთიკის კომისიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატ ხ. თ-სა და კლიენტ ც. ხ-ს შორის 2013 წლის 12 ივნისს გაფორმდა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ადვოკატი იცავდა რ. ხ-ს ინტერესებს წინასწარ გმოძიებაში (დანაშაული გათვალისწინებული სსსკ-ის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით). ადვოკატმა . თ-მა სასამართლოში არ წარადგინა მტკიცებულებები კანონით გათვალისწინებულ ვადაში იმ მიზეზით, რომ მას იმედი ჰქონდა მის ნაცვლად დაცვის მხარის მტკიცებულებებს წარადგენდა ბრალდების მხარე.

სადისციპლინო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ხ. თ-მა უგულებელყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ასევე „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის შესაბამისად, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა და განახორციელოს წარმომადგენლობა. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ 2013 წლის 5 სექტემბერს გამართულ წინასასამართლო სხდომაზე ადვოკატმა ხ. თ-მა განაცხადა, რომ მან სასამართლოში არ წარადგინა მტკიცებულებები კანონით გათვალისწინებულ ვადაში

იმ მიზეზით, რომ ფიქრობდა, ბრალდების მხარისათვის გადაცემულ დაცვის მხარის მტკიცებულებებს სასამართლოში წარადგენდა თავად ბრალდების მხარე.

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ ხ. თ-ს მიერ დაირღვა მითითებული საპროცესო ნორმა, თუმცა სადისციპლინო პალატის სხდომაზე აღნიშნა, რომ მართალია, მას არ წარუდგენია მტკიცებულებები 5-დღიანი ვადის დაცვით, თუმცა სწორედ წინასასამართლო სხდომის დღეს ჩააბარა კანცელარიას და ამით ზიანი არ მისდგომია თავის კლიენტს, ვინაიდან აღნიშნული მტკიცებულებები მოსამართლემ უკლებლივ დასაშვებად ცნო.

ამდენად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ საადვოკატო საქმიანობა არ მოიცავს კლიენტის მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა არაკვალიფიციურად იმოქმედა მტკიცებულებათა წარდგენის მოვალეობის შესრულებისას, რითაც დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადვოკათა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისი ნორმები.

სადიციპლინო პალატა ასევე იზიარებს ეთიკის კომისიის დასკვნას, რომ ადვოკატ ხ. თ-ს მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები, ასევე, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის შესაბამისად, ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიაში წარდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორის მიმართ გამოყენებულია შემდეგი ფრაზები: „ისეთ პიროვნებას და ქურდული ტრადიციების მიმდევარს, როგორიც ხ-ა არავინ გაამართლებს; ბოროტი ქალი ც. ხ-ი; მართლა უმეცარი და გაუნათლებელი ქალია ც. ხ-ი და ამას ჩემთან ამბობდა მისი შვილი რ-ც კი, რომელიც მთხოვდა, რომ მხოლოდ მასთან მელაპარაკა საქმეზე, დედამისს არ ენდობოდა არაფერში, რაც მე ძალიან მიკვირდა, ახლა აღარ მიკვირს; ესე გადამიხადა სიკეთე ამ ნაძირალა, ფულზე დახარბებულმა კრიმინალმა; რ. ხ-ს პირველი ცოლ-შვილი მიტოვებული ჰყავს; ეს არის შანტაჟი და ჩემზე ფულის გამოძალვა“.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ კონსტიტუციით მინიჭებული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისთვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი

სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესების ხელყოფა. ადვოკატის მიერ გამოთქმული ფრაზები, საჩივრის ავტორის მიმართ შეურაცხმყოფელია და ლახავს პირის ღირსებას, რის გამოც ზემოაღნიშნული გამონათქვამები უნდა შეფასდეს, როგორც ადვოკატის მხრიდან პირის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის ფორმად და ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებების შელახვად. ადვოკატი ვალდებულია შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს არაეთიკური გამონათქვამების გარეშე. ამდენად, ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებამ დაარღვია პროცესის მონაწილისადმი პატივისცემის ვალდებულება.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს მოცემული დისციპლინური საქმის ეთიკის კომისიაში ხელახლა განსახილველად დაბრუნების ძირითად საფუძველზე, რასაც წარმოადგენს მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევები. კერძოდ, ადვოკატი ხ. თ-ი წარმოდგენილ საჩივარში აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება მისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ, ჩაჰბარდა 2016 წლის 16 აპრილს, 2 წლის დაგვიანებით. ამასთანავე არ იცოდა, რომ მოცემული გადაწყვეტილებით მას დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოების მინდინარეობა ორ ეტაპად, რომელიც ხორციელდება საპროცესო კოლეგიაში და შემდეგ განხილვის კოლეგიაში. ამავე დებულების მე-13 მუხლის თანახმად, საპროცესო კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საჩივრის ან მიმართვის მიღებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო განხილვის კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან სამი თვის ვადაში.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ხ. თ-ს მიმართ საჩივარი ეთიკის კომისიაში შეტანილ იქნა 2013 წლის 24 სექტემბერს, დისციპლინური დევნა აღიძრა კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში - 2013 წლის 15 ნოემბერს (2013 წლის 25 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე საქმის განხილვა შეჩერებული იყო, რაც არ ჩაითვლება განხილვის ერთთვიან ვადაში), ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ იქნა 2014 წლის 14 მაისს, ანუ დევნის აღძვრიდან არა 3 თვის, არამედ 6 თვის შემდეგ. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება ადვოკატ ხ. თ-ს ჩაჰბარდა 2016 წლის 16 აპრილს - 2 წლის დაგვიანებით, მაშინ, როცა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-20 მუხლი ითვალისწინებს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლის მხარეებისათვის გაგზავნას გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში. ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საქმეზე ეთიკის კომისიის ბოლო სხდომა ჩატარდა 2014 წლის 14 მაისს, რომელზეც მიღებული გადაწყვეტილება არ გამოცხადებულა და მხარისათვის ცნობილი არ იყო დისციპლინური სახდელის დადების თაობაზე.

ამდენად, სადისციპლინო პალატა იზიარებს აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორის მოსაზრებებს და მიიჩნევს, რომ საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის ეთიკის კომისიის მხრიდან ადგილი ჰქონდა უხეშ პროცესუალურ დარღვევებს, კერძოდ, ეთიკის კომისიამ უგულებელყო „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების შესაბამისი ნორმები და გადაწყვეტილება მიიღო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების ჩაბარებისათვის დადგენილი ვადების დარღვევით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დისციპლინური სახდელი დადებულად ჩაითვლება მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან, ხოლო „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 25-ე მუხლის თანახმად, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლისთანავე ან ადვოკატის მიერ მისი გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე. იქედან გამომდინარე, რომ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2014 წელს, ამ გადაწყვეტილების მხარისათვის კანონით დადგენილ ვადაში ჩაბარებისა და შემდგომ ადვოკატის მიერ მისი გასაჩივრების შემთხვევაშიც კი გამოყენებული დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება დღეის მდგომარეობით გაქარწყლებული უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ზემოაღნიშნული დებულების 24-ე მუხლის შესაბამისად, ადვოკატის გაფრთხილება გაქარწყლებულად ჩაითვლება პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ისეთი მდგომარეობა, რომ ეთიკის კომისიის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების მხარისათვის 2 წლის შემდეგ ჩაბარების გამო, სახდელი დადებულად არ ითვლება, რითაც დაირღვა ადვოკატის მიმართ სამართლიანი განხილვის უფლება.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს „გაეროს ძირითად პრინციპებზე ადვოკატთა როლის შესახებ“, რომელშიც მოცემულია ადვოკატთა საქმიანობის გარანტიები, კერძოდ, ამავე აქტის 27-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ადვოკატთა მიერ მათი პროფესიული უფლებამოსილების განხორციელების წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები და საჩივრები განხილულ უნდა იქნეს სწრაფად და სამართლიანად, სათანადო პროცედურების შესაბამისად. ადვოკატებს უფლება უნდა ჰქონდეთ სამართლიან სასამართლოზე, რაც მათ მიერ არჩეული ადვოკატის დახმარების უფლებასაც გულისხმობს, ხოლო „გაეროს ძირითადი პრინციპების“ 29-ე მუხლში მითითებულია, რომ ყველა დისციპლინური პროცედურა უნდა განისაზღვროს ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესების კოდექსის, სხვა აღიარებული სტანდარტებისა და იურიდიული პროფესიის ეთიკის წესების შესაბამისად და ამ პრინციპების საფუძველზე. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ეთიკის კომისიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას უგულებელყო როგორც „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების შესაბამისი ნორმები, ისე გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ მით უფრო იმ შემთხვევაში, როცა ადვოკატმა, ხ. თ-მა 2 წლის განმავლობაში არ იცოდა, რომ მას ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი. ამდენად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს, ზემოაღნიშნული უხეში პროცესუალური დარღვევების პირობებში, რამდენად სამართლიანად იქნა წარმართული ადვოკატის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება.

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დისციპლინური სახდელი უნდა გამომდინარეობდეს ჩადენილი გადაცდომის

არსიდან, ანუ გადაცდომის სიმძიმე, ასევე გადაცდომაში ადვოკატის ბრალი და მისი ხარისხი ერთობლიობაში უნდა განაპირობებდეს სახდელის გადაცდომასთან შესაბამისობას. აღნიშნული კი საბოლოო ჯამში განაპირობებს იმას, რომ შერჩეული სახდელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ერთი და სრულად გამორიცხავდეს სხვა სახდელის შეფარდების შესაძლებლობას. ეთიკის კომისიამ საქმის ხალახლა განხილვისას მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მართალია, ადვოკატმა ხ. თ-მა დაარღვია სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი მტკიცებულებათა წარდგენის 5-დღიანი ვადა, თუმცა მტკიცებულებები წარადგინა პროცესის დღეს და მოსამართლემ ისინი დასაშვებად ცნო, რითაც მის კლიენტს ზიანი არ მისდგომია.

სადისციპლინო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს საჩივრის ავტორის მოსაზრებაზე, რომ იგი ესწრებოდა 2014 წლის 21 მაისის სხდომას, რომელზეც იხილებოდა მ. ლ-ს საჩივარი და არა 2014 წლის 14 მაისის სხდომას, რომელზეც უნდა განხილულიყო ც. ხ-ს საჩივარი. ადვოკატმა სადისციპლინო პალატის სხდომაზეც აღნიშნა, რომ მოცემული დისციპლინური საქმის განხილვას არ დასწრებია და საქმეში წარმოდგენილია სხვა სხდომის ოქმი, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ წერილობითი სხდომის ოქმი და არა სხდომის აუდიო ჩანაწერი. სადისციპლინო პალატამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი გამოკვლევა ჩაატარა და ადვოკატთა ასოციაციას დაავალა წარმოედგინა 2014 წლის 14 მაისისა და 21 მაისის სხდომის ოქმების როგორც წერილობითი, ისე აუდიო ჩანაწერები.

2016 წლის 16 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები: დისციპლინური საქმის №136/13 2014 წლის 16 მაისის სხდომის ოქმის ასლი ბეჭდური სახით; დისციპლინური საქმის №126/13 2014 წლის 14 მაისის სხდომის ოქმის ასლი ბეჭდური სახით; დისციპლინური საქმეების №136/13 და №126/13 სხდომის ოქმების ელექტრონული ჩანაწერები CD დისკზე, რითაც დადასტურდა, რომ ადვოკატი ხ. თ-ი მიწვეული იყო ორივე სხდომაზე და ესწრებოდა მათ. ამდენად, ადვოკატის მოსაზრება სხდომის ოქმის სიყალბესთან დაკავშირებით საფუძველს მოკლებულია და სადისციპლინო პალატა მას ვერ გაიზიარებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა თვლის, რომ ადვოკატ ხ. თ-ს საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და დავა ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ეთიკის კომისიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, 73-ე მუხლით (კანონის ანალოგია) და

გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ხ. თ-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 14 მაისის №126/13 გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ეთიკის კომისიას;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე: /მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები: /ნუგზარ სხირტლაძე/

/ვასილ როინიშვილი/